№ 226
ოქტომბრის 24, ხუთშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 226
ოქტომბრის 24, ხუთშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში: —„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში: —ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
ბაქოში: —ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
შორაპანში: —პართენ ნასიძესთან.
განჯაში: —სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში: —ანტონ კასრაძესთან.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ივერია“
ჰღირს 2 მანეთი და 75 კაპეიკი

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩააბაროს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უმთავრესნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—6.—42)

№ 8. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 24 ოკდომბერს, 1902 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

სოდომის წარღვნა

დრამა 5 მოქ. ზუდერმანისა, თარგ. მ. გველესიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარელისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი, მახვილი. ბ-ნნი: ანანიაშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. ივანიძე, კ. მესხი, კ. შათირიშვილი, და სხვ.

ადგილების ფასი: ლოჟები 5 მანეთიდან 10 მან.-დე; პარტერი 70 კ.-დგან 3 მანეთამდე, ამფითეატრი 80 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე; გალერეია 25 კ.-დან 45 კ.-მდე.

შეგირდებისათვის ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „უბედურ ვარსკვლავზე“, „მუშაკი და ნებიერი“, „ძალა ალმართსა ხნავს“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

იბეჭდება და გამოვა ნოემბერში 1903 წ.

საქართველოს კალენდარი

(ვ. გუნიასი),

გამოცემა „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა“.

კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის სურათით, როგორც ჩვენის, ისე უცხოეთის ცხოვრებიდან. კალენდარში მოთავსებული იქნება გარდა ჩვეულებრივ საკალენდრო ცნობებისა სალიტერატურო განყოფილებაც.

მიიღება განცხადება კალენდარში დასაბეჭდად
შემდეგის პირობებით:

კალენდრის თავში მთელი გვერდი ღირს—10 მან,, $^{1}/_{2}$ გვერდი—6 მან.; კალენდრის ბოლოში: 1 გვერდი—7 მ., $^{1}/_{2}$ გვერდი—4 მან., $^{1}/_{4}$ გვერდი—2 მ-, მარტო ადრესის გამოცხადება —1 მ.

განცხადება მიიღება: ტფილისში—ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, ბათუმში—მ. ნიკოლაძესთან და სპ. ჭელიძესთან, ქუთაისშა—ვ. ბეჟანეიშვილთან და მიტ. ლაღიძესთან.

ნოემბერშივე გამოვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამოცემა

კედლის კალენდარი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბძლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. თარხანოვი. 1—1$^{1}/_{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1$^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

ბ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7$^{1}/_{2}$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

ბრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 24 ოკდომბერი.

ლიტერატურა, მწერლობა ის სარკეა, რომელშიაც აშკარად და ნათლად სჩანს ერის პოლიტიკური, ეკონომიური, გონებრივი და სულიერი მიდრეკილებანი. გამაცანი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა და გაცნობილი მექნება აგრეთვე მისი გონებრივი და სულიერი მდგომარეობაო,—ამბობს ეკონომისტი; გამაცანი ხალხის ლიტერატურა, მისი გონებრივი და სულიერი შენაძენი და შემდეგ გეტყვი, რა გვარია მისი ეკონომიური მდგომარეობაო, იმეორებს ლიტერატურის მკვლევარი.

მართლაც, ხალხის ეკონომიური და გონებრივი მდგომარეობა ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთ შორის, რომ ერთის აღყვავებას უსათუოდ მოსდევს მეორის აღყვავება, ერთის განადგურებას თან მოსდევს მეორის განადგურებაც.

მართალია, ხალხის „ეკონომიური მდგომარეობა ის საფუძველია, რომელზედაც უნდა აღიმართოს საზოგადოების იურიდიული, პოლიტიკური და გონებრივი ზედნაშენები“, მაგრამ ამის მთქმელს არასოდეს არ უთქვამს, ვითომც ლიტერატურას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდეს ერის კულტურულად განვითარების საქმეში; არასოდეს არ უთქვამს, რომ, რაკი თავი და თავი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეკონომიური ვითარებაა, რა საჭიროა მოქმედება, წერა, ლიტერატურის აღყვავებაო, ყოველივე ისე, თავისით მოვა და ჩვენ-კი გულზე ხელი დავიკრიფოთო. პირიქით, მთელი სიცოცხლე ზემოხსენებულის აზრის გამომთქმელისა, მთელი მისი ცხოვრება,—დაუსრულებელი ბრძოლა იყო საეკონომიო, სალიტერატურო და საპოლიტიკო სარბიელზე, ბრძოლა უსისხლოდ, უთოფოდ, უზარბაზნოდ, მაგრამ ამ ბრძოლამ იმდენი სარგებლობა მოუტანა მთელ კაცობრიობას, რამდენიც იქნება არც ერთს ომს არ მოუტანია...

მაგრამ არის ხოლმე ისეთი დრო ერის ცხოვრებაში, როცა ლიტერატურა, მწერლობა, სავსებით ვერ გვიხატავს ერის სულიერსა და გონებრივს მოთხოვნილებას და მისწრაფებას.

ჩვენი ლიტერატურაც ვერ არის ჩვენის ერის ცხოვრების გამომხატველი იქნება არსად ისე არ დაშორებია მწერლობა ხალხს, როგორც ჩვენში; არსად ხალხი ისე არ მოსხლეტია მწერლობას, როგორც ჩვენში.

განა ეს მარტო ახლაა? აბა, მიაქციეთ ყურადღება, რას ამბობდა ბ-ნი ილია ჭავჭავაძე ამ 40 წლის წინად: „ლიტერატურა ხალხის ჭკუა და ხალხის გონებაა, ფიქრი და ჩვეულებაა. ლიტერატურის წარმომადგენელი ჩვენში „ცისკარია“ ამ ჟამად. ნუ თუ მართლა რაც „ც—ში“ იწერება, საქართველოს ხალხის ფიქრია? ჭკუაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუ თუ მართლა აგრე დაეცა ქართველობა, რომ აგრე ფიქრობს, აგრე გრძნობს? მეც მაგასა ვჩივი და ვსტირი, რომ არა, ათასჯერ არა. მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინ-დაუხედავად ბლაჯნის, აღარა ბლაჯნოს... რომ უნიჭონი და მასთან უცოდინარნი ნურას ბლაჯნიან; ამას ვსთხოვთ ხალხის სახელითა ხალხისავე სახელის დაცვისათვის“. *)

ამას ამბობდა ბ-ნი ჭ—ძე ორმოცის წლის წინად და ესევ შეიძლება ითქვას ახლაც, ორმოცის წლის შემდეგ. არ იქმნა და არა, ჩვენი მწერლობა ჩვენის ერის წყლულებს დიდს ვერაფერს ჰშველის, ჩვენის ცხოვრების უმთავრესი საკითხები ისევ ბნელით მოცულია; ლიტერატურა (განსაკუთრებით პრესა) ერის გულის სიღრმეში არ იხედება, იქაურს წყვდიადით მოცულს არე-მარეს ვერ აშუქებს. მწერლობა ჩვენში უძლურია, ცალ-მხრივი, განკერძოებული. ვსწერთ ხალხზე ხალხის სახელით და ხალხისთვის; იმავე დროს კი არ გვესმის მისი ნამდვილი, აუცილებელი და მწვავე მოთხოვნილებანი. არ გვესმის, იმისთვის რომ დაშორებული ვართ მასთან, არ ვიცნობთ მის დალხინებას და გაჭირვებას; მისი ტკივილები ჩვენ არ გვაწუხებს, მისი შიმშილი ჩვენ არ გვამშივებს, მისი წყურვილი ჩვენ არ გვაწყურებს. დაშორებული ხორციელად, დაშორებული ვართ სულიერად, გონებრივად, ზნეობრივად.

ჩვენის ერის დიდი უმრავლესობა სოფელშია, მწერლობა-კი ქალაქში. მწერლობა ვერ უწევს სოფელს ნამდვილ ხელმძღვანელობას. პრესას თითქმის არავითარი გავლენა არა აქვს ხალხის ნივთიერსა და გონებრივს ცხოვრებაზე. ხალხი იმდენად უგუნური არ არის, რომ პრესის კარგი და ავი ნათქვამ-ნამოქმედარი, დღეს თუ ვერა, ხვალ მაინც ვერ გაარჩიოს. პრესამ ოღონდ დაანახოს, აგრძნობინოს, აჩვენოს ხალხს, რომ მისთვის ჰზრუნავს, მისთვის ჰფიქრობს, მისთვის თავსა სდებს, მის სასახელოდ და სადიდებლად. პრესამ უნდა აჩვენოს ხალხს თავისი ძლიერება, გამოააშკარავოს მისი უძლურება, ე. ი. უნდა დაუახლოვდეს ხალხს. ხალხმა თუ ვერ მიაგნო პრესას, თითონ პრესამ უნდა მიაგნოს ხალხს და მიაძახოს: მოველ შენდა სახსნელადაო.

„მუშა ჰხედავს, ჰგრძნობს, ჰფიქრობს; მან იცის, რომ დღევანდლამდე მის მიდრეკილებათ, მოთხოვნილებათ და სურვილთ ისე ენერგიულად და თავ-გამოდებით არავინ იცავს, როგორც დემოკრატიული პარტია“. ამას ამბობს ერთი გერმანიის მწერალი გიერე, რომელმაც სამი თვე დაჰყო ფაბრიკაში მუშათა ცხოვრების შესასწავლელად. რა გავაკეთეთ ამ მხრივ ჩვენ, პრესის წარმომადგენლებმა? დიდი არაფერი.—ის რომ ხალხი ჩვენ ვერცკი გვიცნობს და ჩვენ თავის ინტერესების გამომხატველად არ მიაჩნივართ.

ზევით ვამბობდით, რომ ხალხის დიდი უმრავლესობა სოფელშია და მწერლობა-კი ქალაქში. ამით ის-კი არ გვინდა ვსთქვათ, ვითომც ხალხის დახმარებისათვის საჭირო იყოს

---

*) იხ. „ცისკარი“ 1861 წ. № 6.

მწერლობის სოფელში გადატანა. საჭიროა ხიდი გაიდოს პრესასა და ხალხს შორის, ხოლო ამ დანიშნულების ასრულებას იკისრებს და შესძლებს კორესპონდენტი, კორესპონდენტი მცოდნე, განათლებული და იმავე დროს ხალხისთვის თავდადებული. ჩვენში დღეს კორესპონდენტის მოვალეობას ასრულებს მასწავლებელი, მღვდელი და სხვა ვინმე შემთხვევით. ამათ არც დრო აქვთ და არც ცოდნა ამ ძნელის მოვალეობის შესასრულებლად.

საჭიროა კორესპონდენტი საქმის მცოდნე, გამოცდილი, მისი ზნეობრივი და გონებრივი ფიზიონომია გამორკვეულ და რედაქციისათვის ცნობილი. საჭიროა ასეთი კორესპონდენტი, რამდენადაც-კი შეიძლება, რედაქციის მხრივ მატერიალურად უზრუნველ ყოფილი იყოს. ამით იგი დაუახლოვდება ხალხს, ხალხს ის შეჰხედავს, ხალხი იმას შეჰხედავს და გადაუშლის თავის გულს, შეატყობინებს თავის გულის ტკივილს, თავის მწუხარებას, თავის დარდებს. ხალხი მაშინ დაინახავს არა მასწავლებელს, არა მღვდელს, რომლებიც მისულან მასთან სასწავლებლად და სალოცავად, არამედ სულ სხვას ვისმე, იმას, რომელიც მისულა იმისთვის, რომ მისი დარდი ქვეყანას ამცნოს, მთავრობას შეატყობინოს.

აი, ვინ იკისრებს ხიდის გადებას ხალხსა და მწერლობის შორის! აი, როდის შეიქმნება პრესა ხალხის მოთხოვნილების გამომხატველი! აი, როდის დაიწყებს მწერლობა ფიქრს ისე, როგორც ხალხი ჰფიქრობს! აი, როდის დაიწყებს ხალხი ისე აზროვნობას, როგორც მწერლობა აზროვნებს...

დიაღ, ვიმეორებთ, ჩვენი საწუხარი ის არის, რომ მწერლობას არა აქვს ღონისძიება, კაცები იყოლიოს ყველგან და იმათ დაავალოს, შეიტყონ ქვეყნის დარდი და ვარამი და დროზედ მოაწოდონ მწერლობას ამბავი ხალხის გასაჭირისა, მისის აუცილებელ მოთხოვნილებისა.

ტფილისი

✦ დღეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია იმ კომისიის წევრთა კრება, რომელსაც დავალებული აქვს განიხილოს კითხვა, თუ როგორ უკეთ მოეწყოს ხორბლეულობისა და პურის ვაჭრობა რუსეთში; კრებაზედ ბ. ევანგულოვი წაიკითხავს მოხსენებას „სამეურნეო-სამრეწველო ნაწარმოებთათვის ბირჟისა და ელევატორების დაარსების შესახებ კავკასიაში“; მეორე მოხსენებას წაიკითხავს ბ. ლამბაროვი „მწარმოებლებთა და ნაწარმოებითა მოვაჭრეთა შორის, კავშირისა და ამხანაგობის დაარსების შესახებ“.

✦ დღეს დანიშნულია ქალაქის სკოლების ამასრულებელ კომისიის წევრთა კრება.

✦ ტფილისის გუბერნიის სამკურნალო განყოფილებას განუზრახავს სოფელ მარტყოფში გამართოს საყასბოები.

✦ ტფილისის მოვაჭრეთ უკანასკნელ კრებაზედ გარდასწყვიტეს, ყოველ წელს ტფილისის ვაჭართა საერთო თანხიდგან შეიტანებოდეს ოც-ოცი თუმანი ტფილისის კომერციულ და ტფილისის სავაჭრო სკოლების კასებში, თითო სტიპენდიის დასაარსებლათ, ე. ა. დავიდოვის სახელობაზედ, რომელსაც წრეულ უსრულდება 25 წელიწადი ვაჭართა საზოგადოების მამასახლისობისა.

✦ დღეს, სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად თავ. კონსტანტინე დადიანისა და კვაჟა ჩიქოვანის საქმე, რომელთაც ბრალდებათ ციმბირიდან გამოქცეულ ემუხვარის დამალვა.

✦ მომავალ კვირას, არტისტიულ საზოგადოების სადგომში გაიხსნება საფრანგეთის მხატვართა სურათების გამოფენა. პარიჟიდან უკვე მიიღეს გამოსაფენად 200-მდე სურათი. ზოგიერთი ამ სურათთაგანი გამოჩენილი მხატვრების ნაწარმოებია.

✦ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით, ელიზავეტპოლის გუბერნიაში არსდება ამერიკული ვაზის სანერგე; მინისტრის რწმუნებული კავკასიაში ბ-ნი მედვედევი უკვე შესდგომია ამ საქმესა და დაუნიშნია კიდეც ერთი თავის კანცელარიის მოხელე საქმის მოსაწყობად.

✦ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ამ ჟამათ საგანგებო კომისია ექიმებისა ქალაქის თავის თანადასწრებით ამოწმებს იმ ყმაწვილ კაცთა ჯანმრთელობას, რომელნიც წრეულ არიან გაწვეულნი სამხედრო ბეგარის გარდასახდელად; დღევანდლამდე კომისიას ჯანსაღად უცვნია 59 კაცი, რომლებიც ჩარიცხულ იქმნენ ჯარის-კაცებად.

✦ როგორც შევიტყეთ, სამღვდელოება უკვე შესდგომია საეკკლესიო საგალობლების სახელმძღვანელოს შედგენას სამრევლო სკოლებისათვის; სახელმძღვანელო კრებულის შედგენაში, ჩახნაევისა და ზარაძის გარდა, რომელნიც დასახელებულნი გვყანდნენ, ახლა მონაწილეობას იღებს დეკანოზი ვოსტორგოვიც.

✦ ტფილისის პოლიცია ამ ჟამად შეუდგა იმ ყმაწვილ-კაცთა სიის შედგენას, რომლებიც იქნებიან გაწვეულნი 1903 წელში სამხედრო ბეგარის გარდასახდელად; პოლიცია აგროვებს შემდეგ ცნობებს: რამდენი სულია ჯარში გამოწვეულ ყმაწვილ-კაცის ოჯახში, რა რჯულისაა, რა ერისაა, რა ხელობისა და იცის წერა-კითხვა თუ არა; პოლიცია, შეაგროვებს რა ყველა ამ ცნობებს, წარუდგენს ტფილისის ქალაქის გამგეობას.

✦ ქალაქის გამგეობაში აღიძრა კითხვა ქალაქის უმთავრეს პლანის შედგენის შესახებ, ამ პლანში მოთავსებული იქნება ის ქალაქის ადგილებიც, რომლებიც ამა თუ იმ პირისგან სადაოდ არიან დადებულნი; ეს საკითხი თუმც დიდი ხანია განხორციელებას თხოულობდა, მაგრამ აქამომდე რაღაც გამოურკვეველი მიზეზები აბრკოლებდა; ამასთანავე ქალაქის გამგეობას აქვს პლანი, შედგენილი მესამოცე წლებში; ჯერ ეს პლანი დაუმტკიცებელია; უმთავრესი ახლად შედგენილი პლანი ქალაქისა წარედგინება უმაღლესს მთავრობას დასამტკიცებლად. მესამოცე წლებს აქეთ ტფილისში ბევრი რამ იცვალა; ბევრი ქუჩა გაიყვანეს ახლად და ბევრსაც ახალი სახელები დაერქვა, რაიც არ არის ძველ პლანში შეტანილი.

✦ გუშინ ტფილისის ქალაქის საყასბოს ადმინისტრაციამ ქალაქის გამგეობას წარუდგინა პროგრამა მომავალ ბეითალთა კრებისა პეტერბურგში, რომელიც დანიშნულია მომავალ 1903 წ. იანვრის 3-დგან 12-მდე. ადმინისტრაცია ითხოვს, რომ ქალაქის გამგეობამ მოახსენოს ქალაქის საბჭოს, რათა მან თავისი ბეითალი გაგზავნა დელეგატად ამ კრებაზედ

✦ გუშინვე წარუდგინა თავისი მოსაზრება ამავე საგანზედ ტფილისის სასანიტარო საექიმო უფროსმა ბ. სტეფანოვმა; ბ. სტეფანოვი სცნობს რა დიდ მნიშვნელობას ბეითალთა კრებისას, სადაც აღიძრება და გაირჩევა საყასბოების ახალი სისტემით მოწყობის შესახებ საკითხებიო, დასძენს: ჩემის მხრივ ვასახელებ საყასბოს გამგე ბეითალს კანცელმახერსა, რომელსაც საყასბოს საგანგებო თანხიდგან დაენიშნოს 300 მანეთი და დაევალოს მას კრების შემდეგ წარმოგვიდგინოს ვრცელი მოხსენება ყველა იმ საყურადღებო კითხვებზედ, რაიც იქნებიან განმარტებულნი ბეითალთა კრებაზედაო.

✦ როგორც გამგეობის ცნობებიდგან სჩანს, ქალაქის სააუქციონო ზალაში ამ წლის იანვრიდგან 23 ოკდომბრამდე ყოფილა სხვა-და-სხვა ნივთი, ღირებული 39,431 მან. 9 კაპ.

✦ დღეს, 24 ოკდომბერს, დანიშნულია ქალაქის სასანიტარო-საექიმო საბჭოს კრება, რომელმაც უნდა განიხილოს: 1) ტფილისის საავადმყოფოს თავშესაფარების საერთო პლანის შედგენა; 2) გადამდებ სენით ავადმყოფთათვის ახალი საავადმყოფოების აშენება, იმისდა-გვარად, თუ მინისტრი ინებებს და ნებას დართავს ქალაქს კერძო გარდასახადის შემოღებაზედ საავადმყოფოთა სასარგებლოდ; 3) განცხადება ექიმი რაზამატისა სადეზინფექციო შენობის დამთავრებაზედ, 4) ღორის ლორზედ ბეჭედისა და პლომბის დაკვრის შემოღება; 5) ქალაქის სასწავლებელთა ექიმის მოხსენება, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეემოწმებინა იმ მოწაფეთა ჯანმრთელობა, რომლებიც წრეულ იქმნენ მიღებულნი სასწავლებლებში.

✦ 23 ოკდომბერს, კავკასიის ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების გამგეობამ მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა შეატყობინოს, ის ღორის ლარი, რომელიც უკვე გაშინჯულია სხვა ქალაქებში და ისე ვიღებთ, ხელმეორედ უნდა გაიშინჯოს ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიაში თუ არაო.

✦ ტფილისის გამგეობა შეეკითხა საექიმო განყოფილების უფროს ბ-ნ სტეფანოვს, რაში გამოიხატა ჩვენი ზრუნვა საქონლის ჭირის მოსპობის საწინააღმდეგოთაო; სტეფანოვმა გამგეობას დაწვრილებითი მოხსენება წარუდგინა და დასძინა, რომ ყოველი ჩვენი ღონე მიქცეულ იყო ქალაქის საყასბოს და საქონლის სადგომზედაო, რომ აქედგან არ გავრცელებულიყო ავადმყოფობაო. ქალაქის ყველა ადგილებში საქონლის ყურის გდება-კი მას არ ძალუძს, რადგანაც ქალაქს არ ჰყავს ამისათვის საგანგებო ბეითალი და მეორეც— ეს ამ ადგილებში საქონლის ყურის გდება დავალებული აქვს ქალაქის ბეითალსაო.

✦ ქალაქის გამგეობამ გუშინ გუბერნატორს წარუდგინა დაწვრილებითი საქმის წარმოება ქალაქის მესამე რაიონის არჩევნებისა.

✦ ხვალ, 25 ოკომბერს, დანიშნულია ქალაქის საბჭოს წევრთა კრება.

✦ 28 ოკდომბერს, თაიროვის თავმჯდომარეობით, დანიშნულია იმ კომისიის წევრთა კრება, რომელსაც დავალებული აქვს ქალაქის საქონლისთვის ბოსლებისა და ეზოების მოწყობის საქმე.

განმავლობაში გაუშინჯავს 5,000 სული საყასბოში საკლავად მირეკილი საქონელი; იგივე ბეითალი დასძენს, რომ ამავე თვის განმავლობაში, როგორც საყასბოს ცნობებიდან სჩანსო, 28,000 სული საქონელი დაკლულა საყასბოშიო, ესე იგი 28,000 სული საქონელი გაუშინჯავი დაკლულაო; გუბერნატორი აფრთხილებს ქალაქის გამგეობას და სთხოვს რამე ღონე მიიღოს, რომ ყველა საკლავი საქონელი უეჭველად იშინჯებოდესო.

✦ 21 ოკდომბერს მოხდა ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიის წევრთა კრება; კრებამ განიხილა ახალი ეზოების აშენების კითხვა მის მიერ შეძენილ საკლავ საქონლისათვის; ამასთანავე კრებამ დაამტკიცა ახალი ეზოების ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც შეადგინა ქალაქის ტეხნიკმა ახნაზაროვმა. გამოანგარიშებით ეზოების მოწყობა დაჯდება 25,000 მანეთი.

✦ დღეს ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისია, გამგეობის წევრების ბ.ბ. ჩერქეზიშვილისა და ეფიანჯიანცას მონაწილეობით, დაათვალიერებენ იმ ადგილებს ნავთლუღში, სადაც უნდა ააგონ ქალაქის საქონლისათვის ეზოები.

✦ ლაზარევის ინსტიტუტის პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილმა ძველ ათონზედ მოგზაურობის დროს ყურადღება მიაქცია ქართულ ხელთ-ნაწერებს, მათ შორის 987 წელს ქართულად თარგმნილს დაბადებას. სხვა-და-სხვა ხელთ-ნაწერიდგან გადმოუწერია რამდენიმე აპოკრითი წმიდანების ცხოვრების შესახებ, რომელიც ნათელს მოჰფენს მე-VI საუკუნის ხელთ-ნაწერებს და ახალ ცნობებს შეიტანს ძველის მწერლობის ლიტერატურაში- („პეტ. ვედ.“).

✦ როგორც ქალაქის საყასბოს გამგე ბეითალის მოხსენებიდგან სჩანს, მას ერთი თვის

ჩვენებური ამბები

ჭიათურა. ნაყოფი მარგანეცის წარმოების დაცემისა ყველამ იცის. დიდს და პატარას დიდი სარგებლობა ჰქონდა შავის-ქვის წარმოებით წინად. წავიდა ეს სანატრელი დრო და შეჩერდა ჭიათურაში ყოველგვარი მოძრაობაც. დღეს ჭიათურაში ხალხის გამომაღვიძებელი საქმიანობა აღარ არის, ვეღარ შეხვდებით ჭიათურაში დღეს სხვა-და-სხვა კუთხის ნამდვილ მესაქმურ ხალხს. მაგიერად ახლა აქ ბევრია უსაქმური კაცი. ამისთანა უსაქმურები ბედოვლათად ატარებენ დროს, ჩხუბობენ, მთვრალობენ. საბრალო მიკიტნები იმდენად დაშინებულნი არიან მაგან, რომ ამისთანა ბედოვლათებს ვერ უბედავენ დანახარჯისაც თხოვას. დარწმუნებულნი არიან, რომ არას მისცემენ.

ამ მოკლე ხანებში, ჭიქთურში (ჭიათურის რაიონია) ერთ ვიღაც მეპურეს რამდენიმე ნახმარი იარაღი უნახეს, რომლებიც საჩხერის სასამართლოს გატეხის დროს დაკარგულა. ამბობენ, ესეც ჭიათურა-დარკვეთ და ჭიქთურის ცუდად მოხეტიალეების ნამოქმედარიაო. რამდენიმე პირი კიდევაც დააკავეს.

იამანიძე.

—

იყალთო (თელავის მაზრა). არას დროს ისე არ ყოფილა გახშირებული ქურდობა იყალთოში, როგორც ამ უკანასკნელ დროს. ამ ღვინობისთვის განმავლობაში იყალთოში ათამდის შემთხვევა იყო ქურდობისა; მოიპარეს ცხვარი, ღვინო და სხვ. ქურდობას ჯანი გავარდეს, განა წინეთ კი არ იყო? მაგრამ საქმე ის არის, რომ თუ წინეთ ერთსა და ორს შემთხვევაში ნაქურდალს ვერ პოულობდნენ, მესამე და მეოთხე შემთხვევაში მაინც უეჭველად ხელთ იგდებდნენ ქურდ-ბაცაცებს. ეხლა-კი თუ დაკარგეთ რამე, მორჩა და გათავდა. ტყუილად-ღა იქონიებთ პოვნის იმედს; ან-კი ვინ უნდა იპოვნოს, როცა თავის გამცხელებელი არავინ არის. შეიტყობს თუ არა მოხელე, მიადგება კარს საწყალს გაქურდულს, აათვალიერ ჩაათვალიერებს ადგილს, საიდგანაც წაიყვანეს საქონელი, ან მოიპარეს ღვინო (რაღა ჩიჩინი უნდა, კიდეც გადაჰკრავს, თუ ქურდმა ისვინდისა და, ცოტა მაინც გაუშვა ქვევრის ძირში) და შემდეგ გასწევს ერთ-ერთ გლეხისაკენ—კუჭის მოსამაგრებლად. ქურდებისაგან დაღუპულს გლეხს ცოტა იმედი ეძლევა, რომ ოდესმე იპოვნის დაკარგულს.

შემოიღეს ყარაულებიც, რომელნიც ღამ-ღამობით თვალ-ყურს უნდა ადევნებდნენ სოფელს, მაგრამ რა გამოვიდა! ბევრჯელ მინახავს, რომ „ყარაულები“ ვებერთელა ცეცხლს შემოსხდომიან და ბაასით შექცევენ ერთმანერთს.

იყალთოელი.

კავკასია

კავკავი (თერგის ოლქი). 12 ამ თვეს ავაზაკები დაეცნენ კოჟინის ჯოგს, შეჰკრეს მისი მწყემსი თოკით და გაძარცვეს, კოჟინის მოჯამაგირე სვიმონ ციხელაშვილი დასჭრეს და მთელი ჯოგი გარეკეს.

—

ფელეტონი

აგარაკი ბახმარო

და

მისი ავან-ჩავანი

(წერილი გურიიდგან)

ბახმარო შედარებით ძლიან ნორჩი აგარაკია, სულ შვიდი თუ რვა წელიწადი იქნება, რაც დაბადების მეტრიკა შეუდგა და მოჰაერენი ეტანებიან, ხოლო უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში მოაგარაკეთა რიცხვმა თვალსაჩინოდ იმატა. წელს, მაგალითად, ათასს გადააჭარბა. ეს რიცხვი ერთი ორად და ერთი ოთხად მეტი იქნებოდა, რომ ამ საუცხოვო ჰაერით შემკულ ადგილს ბარემ მონათვლაც ღირსებოდა და მით მრავალნაირი დაბრკოლება და ნაკლულევანება თავიდამ აეშორებინა.

პირველი ამათგანი გახლავთ უგზოობა. საეტლო გზას ვინღა ჩივის, ასეთ ფუფუნებამდე ჩვენი ფრთამოტეხილი ოცნება როგორ მიაღწევს თქვენ წარმოიდგინეთ, რომ საცხენოსნო გზაც დიდად ფათერაკიანი და სახიფათოა. მარჯვე ცხენი და არა ნაკლებ მარჯვე მხედარია საჭირო, რომ ეს გზა უვნებლად გაიაროს. მერე ცოტა მანძილი ხომ არ არის! ვაკიჯვრიდამ (ეს სოფელი ოზურგეთს ჰშორავს ცხრა ვერსით და აქნამდე საეტლო გზაც არის) ბახმარომდე, ახლანდელ ცუდს პირობებში თუ მეტის არა, შვიდი საათის სავიარულო მაინც იქნება. განსაკუთრებით სახიფათოა ეგრედ წოდებული ღარები, რაიცა რამდენსამე ალაგას შეხვდება მგზავრს. ღარები ნიადაგ ატალახებულია, რადგანაც მზის სხივები იშვიათად თუ ჩაიჭყეტს შიგ, მეტის-მეტად ვიწროა ასე, რომ ცხენი ცხენს ვერ შეუვარს და მასთან ორისავე მხრით უშველებელი კლდე აქვს აყუდებული. წვიმის დროს, რომ წისქვილებიც იყოს ზედ გამართული, სწორედ ნამდვილ ღარს დაემსგავსება, ისეთი ნიაღვრების ნაკადულები ადგება ხოლმე. ამიტომაცაა, რომ წვიმიან ამინდში ძნელად თუ ვინმე გაბედავს ბახმაროსაკენ გამგზავრებას. უმეტეს ნაწილად მგზავრები ასეთ შემთხვევაში ვაკიჯვარშივე რჩებიან და გამოდარებას უცდიან. ღარებზე თითქმის უფრო საშიში და კისერ-სატეხი ადგილია „სიპნარას“ სამ ვერსიანი აღმართი, სადაც, თუ ცოტაოდენი ჯანი შეგწევთ, თუნდაც პირუტყვთ მფარველ საზოგადოების წევრიც არ იყოთ, უეჭველად შეგებრალებათ თქვენი „ბუცეფალი“ და ქვეითობას ირჩევთ. ღმერთს სიმართლე უყვარს, არც მთლად პირუტყვთადმი სიბრალულის საქმე იქნება თქვენი ასეთი საქციელი, რადგანაც თუ თავისთავი გებრალებათ და მასთან თურმანიძის გაცნობის დიდი სურვილი არა გაქვთ, სხვა ნაირად ვერ მოიქცევით. რაც შეეხება ჯანსუსტებსა და ავადმყოფებს, ამათ ერთი კაცი, მარჯვე და გამოცდილი, უსათუოდ უნდა იახლონ, რომ მარცხისა და ფათერაკისაგან უზრუნველ ჰყონ თავის-თავი.

ერთად-ერთი სანუგეშო მგზავრისათვის ამ გზაზე ის არის და ისიც მაშინ, თუ მზიანი დარია, რომ ყოველს ნაბიჯზე საუცხოვო სურათია, სანახაობის ფრიადი სხვა-და-სხვა ფერობაა, მცენარეთა სამეფოს დიდი სიმდიდრეა. ძალიან გრძნობა-ჩლუნგი და უსულგულო უნდა იყოს ადამიანი, რომ ყოველისავე ამის ნახვამა და განცდამ რაღაც ზეაღმტაცი, რაღაც დიდებული, მადლიანი და დამაშვენებელი გავლენა არ იქონიოს მაზედ. ასე გასინჯეთ, თვით სამარისებურ ღარებსაც თავისებური ეშხი და მიმზიდველობა არ აკლია. მართალია, აქეთ-იქით კლდე აჰყუდებია, მაგრამ კლდეც არის და კლდეც! ხრიოკი და უნაყოფო არ გეგონოთ! არა, გულ-მკერდი ფერად-ფერადის ყვავილებით კეკლუცადა აქვს შემკული, ხოლო თავი ხვევულის მცენარეებითა და ნაირ-ნაირის ჩირგვებით მწვანედ შეუქოჩრავს. აქა-იქ კოჩორი ერთის კლდისა მეორეს ჩაჰკონებია, ჩაჰგრეხია და ორივეს ერთად ბუნებრივი კამარა დაუწნავს მწვანისა და ყვავილებისაგან. ასეთ კამარას ქვეშ მოგიხდებათ გავლა და ეს უბრალო მომაკვდავისათვის სახუმრო საქმე ხომ არ არის?

—

ასეთია ბახმაროს გზა თავის ავითა და კარგით. მაგრამ ნუ გეშინიანთ! თუ კარგი დარი დაგიდგათ, თუ ვაკიჯვრელი ცხენი დაიქირავეთ და მისივე პატრონი გზის კაცად იახელით და ამასთანავე თქვენც თუ ცოტაოდნად გულადი ბრძანდებით, ბახმარომდე მშვიდობით მიაღწევთ. მხოლოდ საქმე ის არის, რომ თითონ ბახმაროც იმ მხრით, რა მხრითაც ადამიანის მარჯვენისა და ჭკუა-გონების ნამოქმედარს შეეხება, ვერაფერ სანუგეშო სურათს წარმოადგენს. პირველად თვალში გეცემათ აქა-იქ მიფანტულ-მოფანტული უპლანოდ აშენებული უბუხრო და უსარკმლო სახლები, რომლებშიაც კულტურულ ცხოვრების არავითარი მოწყობილება არ არის. მაგალითად, სტოლი და სკამი აქ ფუფუნებისა და ნებივრობის საგნად ითვლება. განსაკუთრებით შესანიშნავია თავისი მოუწყობლობითა და უხერხულობით გასაქირავებელი სახლები. ხოლო ის თითო-ოროლა სახლი, რომელთაც ასეთი ნაკლი არა აქვთ, თითონ პატრონებს უჭირავთ. სანიტარული მდგომარეობა ხომ უფრო ცუდ, უფრო სადრტვინავ პირობებშია: მთელი არე-მარე, მთელი ეზოები ბახმაროსი საქონლის პატივით არის ამსებული...

საქონელს აქ, არ ვიცი რა საბუთითა და საფუძვლით, განსაკუთრებული პრივილეგია აქვს მინიჭებული. მოსეირნე ხალხთან ერთად საქონელიც თავისუფლად სეირნობს და სძოვს; ამას გარდა, როცა მოესურვება თავისუფლადვე ბინავდება მაღალ ბოძებზე წამომდგარ აქაურ სახლებს ქვეშ. სამკითხველოს შენობაც მაღალ ბოძებზეა წამოჭიმული და ქვეშ ყოველ ღამე რამდენიც-კი დაეტევა, თუ მეტი არა, სწორედ იმდენი ხარი თუ ძროხა ნებივრობს და მოსვენებას ეძლევა. წარმოდგენის დროს—არ დაივიწყოთ, რომ აქაურ სამკითხველოში იმართება წარმოდგენები,—როცა სამკითხველოს დარბაზში მოთამაშეთა ორფეხა საზოგადოების მოწონების ხმა და ტაშის-ცემა გაისმის, ეს იატაკ ქვეშელა ოთხ-ფეხი მდგმურებიც აზმუილდებიან და აბღავლდებიან ხოლმე. ხოლო იმისი-კი რა მოგახსენოთ, ამითი ისინი საზოგადოების აღტაცებას უერთდებიან, თუ ძილისა და მოსვენების დარღვევის გამო თავიანთ უკმაყოფილებას აცხადებენ. თუ უკანასკნელი მოსაზრებაა მართალი, იმ შემთხვევაში ალბად განგება გვწყალობს, რომ პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრთაგანი არავინ მოდის ბახმაროზედ, თორემ თქვენი მტერია, ცუდად წავიდოდა საქმე. ჯარიმა რომ არაფრად ჩავაგდოთ და იმის შესახებ არაფერი ვსთქვათ, სამკითხველოში წარმოდგენების გამართვა აღიკრძალებოდა... და რაღა ეშველებოდათ ბ. ვ. ურუშაძის სასცენო ტალანტის თაყვანის მცემელთა ვაჟბატონებსა და ქალბატონებს? სხვაგან სად ნახავდნენ ასეთ მოხდენილს თამაშს, სხვაგან სად გაიგონებდნენ ასეთ დამარგალიტებულს, რუსთაველისებურს მწყობრსა და ტკბილს ქართულს?

მაგრამ დავანებოთ თავი ამაებს და ისევ აქაურს სანიტარულ უკულმართობის შესახებ განვაგრძოთ საუბარი. სახლის პატრონების უზრუნველობით დიდი უსუფთაობაა აქა. ველი, ნაძვნარიც-კი იპილწება ამათის დაუდევრობით. ეს ნაძვნარი, რამდენადაც სააგარაკო ადგილს შეეფერება, უმისოდაც ვერ არის სასურველ მდგომარეობაში. არსად სასეირნო ბილიკი, არსად დასასვენებელი სკამები. ქარისა, თუ სიბერის გამო წაქცეული ხეები იქვე ჰყრია და იქვე ლპება. სად არის პატრონი, რომ ეს საუცხოვო მიდამო მოსწმინდ-მოსწმინდოს, მოაწესრიგოს და სასეირნოდ მოსახერხებელი გაჰხადოს? დიაღ, მონათვლა აკლია ჩვენს ბახმაროს, ე. ი. აგარაკად დამტკიცება, რომ მომვლელი და მზრუნველი გაუჩნდეს, თორემ ჩვენ საკუთარის მეთაურობით, უაპეკუნოდ, როდის რა გაგვიკეთებია, რომ მაინცა და მაინც ბახმაროზედ გამოვიჩინოთ ეს უნარი?

—

საკუთარის მეთაურობითა და უნარით არის გაკეთებული, მაშ, რა არისო—მეტყვიან ბახმაროელები—ეს სამკითხველო, ეს საზოგადო დუქნის შენობა, ახლა კიდევ სასადილოს აკეთებენო. არის, როგორ არ არის. სამკითხველოც არის, საზოგადო დუქნის შენობაც და გაისად სასადილოც იქნება. მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, მარტო სახელით ყოფნას რა ყოფნა და არსებობა ეწოდება, უკეთუ ცოტაოდენი სახრავიც არ იქნება? სამკითხველოში წასაკითხი არაფერა მოიპოვება და, რომ ხან-და-ხან წარმოდგენა არ იმართებოდეს შიგ, სწორედ გაუქმებულ ტაძარს დაემსგავსებოდა. საზოგადო დუქანმა საზოგადოების მოლოდინი ვერ გაიმართლა. სასადილო მომავლის საქმეა და ღმერთმა ინებოს „სმა, ჭამა დიდად შესარგი„ გაჩაღებულიყოს შიც და მრავლად ჰყოლოდეს მადლობელ-კმაყოფილნი მოსადილენიც და მოვახშმენიც. ხოლო მე კიდევ საზოგადო დუქანთანა ვარ. ამ დუქნის გაკეთებას ის აზრი ჰქონდა, რომ კერძო მოვაჭრეთა თვითნებობისა, თავგასულობისა და ხშირად ულმერთო საქციელისაგან დაეხსნა მოაგარაკენი. მაგრამ მოვსტყუვდით. ვინც წელს ბახმაროზედ ბრძანდებოდა და ვისაც მიუდგომლად მსჯელობა შეუძლია, ყველა დამეთანხმება, რომ ეს ასე იყო. „ვაის გავეყარეთ და ვუის შევეყარეთ“. კერძო მედუქნენიც მოვიმდურეთ ამ დუქნის გაკეთებით და აქაც ვერაფერი ხეირი ვნახეთ. მოაგარაკეთა რწმუნებულებმა საზოგადო დუქანსა და ფურნეში ვაჭრობის უფლება ბახვის მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობას

ტოვი. ამ წინა დღეებში აქ მოჰხდა საზარელი საქმე, რომელიც აქეთ მხარეს იშვიათად არ არის. აქაურ ქისტებისა და ოსებისას მეტს ვერაფერს გაიგონებთ, თუ არა კაცის მკვლელობას, ქურდ-ბაცაცობას და ავაზაკობასა.

სოფელი ტოვი არის ქისტის სოფელი. ოსებს გაუტარებიათ ცხვარი მათ სოფლის მახლობლად. ქისტებს გაუგიათ, რომ ოსებს დაუღამდათო, შუაღამისას დასცემიან მწყემსებს იმ აზრით, ,რომ მოუსხლიტნათ ცხვარი. მაგრამ, მათდა საუბედუროდ, მწყემსებს შეუტყვიათ მათი განზრახვა, ჩასაფრებიან და ქისტები რომ მოსულან, დაუწყვიათ თოფის სროლა და ოთხი ავაზაკი მოუკლავთ.

—

ს. ახალციხე. (ხევი)—ეს სოფელი მდებარეობს 8 ვერსის მანძილზე სად. სტეფანწმიდიდგან— (ყაზბეგიდგან) მთელს ხევს არც ერთი სოფელი ასე დაცემულ-დაკარგნილი არ არის, როგორც ს. ახალციხე. ართხმოს წყალმა (მდ. ჩამომდინარობს ს. ართხმოს მთებიდგან) მამულები გაუფუჭა და მცხოვრებნი ცუდს მდგომარეობაში ჩაჰყარა. აქაურები თუმცა მარჯვე და მშრომელნი არიან, მაგრამ მამული ძალიან მცირე და საჯაფოთ აქვსთ. სოფლელებს აქვსთ ერთი სასოფლო მთა (ყორის მთა ყორა). კაი ნოყიერი მთაა ეს მთა, მაგრამ ძალიან შორს არის, სოფლიდგან 12 ვერსის მანძილზე. მთის სიშორეს ძალიან გაჭირვებაში ჰყავს მცხოვრებლები. ზოგიერთს მათგანს ქერი, შვრია, შეშა და თივა ჩამოაქვსთ ზურგით დაბლა ხევებში, მცხოვრებთა რიცხვი შეადგენს 30 კომლს, მაგრამ თითქმის სუყველანი უძლურნი არიან ქონებითა და აგრეთვე გონებითაც.

ამ სოფელს აღმოსავლეთის მხრივ უძევს 1-ის ვერსის მანძილზე სოფ. კარკუჩა, რომელიც განირჩევა ამ სოფლისაგან მამულის ნოყიერებით და მცხოვრებლების შეძლებულებით.—სოფ. ახალციხეს პირდაპირ უცქერის ს. ქოსელთი. სოფ. ქოსელთი მიკრულია პატარა გორაკზე იმ ნაირად, როგორც მერცხლის ბუდე ციცაბ კლდეზედ. სამივე ეს სოფლები მიწერილია სნოს სამრევლოზე და ჰყავს ერთი მღვდელი, გ. გოცირიძე; სამხავე სოფელს აქვს ერთი ეკკლესია, ს. ახალციხეში, თამარ მეფის აშენებული ყოვლად წმიდა მარიამის სახელობაზედ. ეს ეკკლესია თითქმის გაუქმებულია, თაღ ჩამონგრეული და მხოლოდ პატარა კუთხეა ამ საყდრისა გადაკეთებული, რომელიც შეადგენს სამის სოფლის ეკკლესიას—(100 კომლია სამსავე სოფელში).

ლექსო კარკუჩელა.

რუსეთი

საერო განათლების სამინისტრომ ნება-რთვით ნოვგოროდში დაიწყო სწავლა ქალთა ორ წლიან პედაგოგიურ კურსებზე. კურსებზე მიიღებენ იმათ, ვისაც ქალების პროგიმნაზია გაუთავებია, ან-და ვინც შესაფერს ეგზამენს დაიჭერს. კურსებზე ასწავლიან სამღვთო სჯულს, რუსულს, ისტორიას, არითმეტიკას, გეომეტრიას, ფიზიკას, ჰიგიენას, გეოგრაფიას, პედაგოგიკას და გალობას. სწავლა დაიწყო წელს, ენკენისთვეში, მიიღეს 12 ქალი 15—19 წლისანი.

— მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ერმალოვმა უარ-ჰყო თხოვნა ნაცნობთა და მეგობართა ედღესასწაულა თავისის 35 წლის სახელმწიფო სამსახურის შესრულების დღე. მიუხედავად ამისა 16 და 17 ოკდომბერს 150 მილოცვის დეპეშა მისვლია.

— მომავალ წლიდან გზათა სამინისტროს გარდაუწყვეტია სახელმწიფო რკინის გზებზე დაარსოს სატელეგრაფო სკოლები.

— ბუნების-მეტყველების მოყვარულთა საზოგადოების ეტნოგრაფიულს განყოფილებას გარდაუწყვეტია დაჰბეჭდოს საგანგებო კრებული ხალხურ სიმღერებისა, რაიცა ხელს შეუწყობს სახალხო სკოლებში გალობის გავრცელებას.

— როგორც გაზეთები იუწყებიან, იუსტიციის სამინისტროში მალე შეუდგებიან იმ საქმის განხილვას, რომ ნაფიცთა სამსჯავრო იქმნას შემოღებული რუსეთის იმ ნაწილებში, სადაც ამგვარი სამართალი არ არსებობს.

— იგივე გაზეთი ამბობს, რომ საკვირაო ჟურნალ „თვით განვითარების“ რედაქტორად დაუმტკიცებიათ ჩვენი თანამემამულე ცნობილი პროფ. ივ. ს. თარხნიშვილი.

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი. აგერ ეხლა გამოაქვეყნეს მოწოდება „ჩეხიის სახალხო თეატრის საზოგადოებისა ბრნში“ ჩეხიის, მორავისა და სილეზიის მკვიდრ ჩეხთა მიმართ; საზოგადოება იწვევს ჩეხებს, შემოწირულობა მოაგროვეთ მორავიის დედა ქალაქ ბრონში სახალხო თეატრის ასაგებადაო.

მოწოდებაში სამართლიანადაა აღნიშნული, ჩეხიის ერი ისეთ სამწუხარო პირობებში სცხოვრობს, რომ მეტად უჭირს კულტურული ზრდაო: მაშინ, როდესაც ავსტრია-უნგრეთის სხვა ოლქების ქალაქებში ზედი-ზედა ხსნის მთავრობა სკოლებს, მუზეუმებსა და თეატრებს, ჩეხებმა თავის საკუთარ ჯიბიდგან უნდა გაიღონ მილიონ გულდენობით „სასკოლო მატიცის“, საეთნაგრაფიო მუზეუმისა და „სახალხო თეატრის“ სასარგებლოდაო; მერმე იცით, როგორ გროვდება ეს მილიონები სულ თითო-ოროლა კრეიცერობით, გაჭირვებულ მუშათა და გლეხთაგან მოკიდებული უმაღლეს მოხელემდეო.

იმ დროს, როდესაც გერმანელები მხოლოდ მეათედს შეადგენენ პრაგის მკვიდრთა შორის და ორი საკუთარი თეატრი-კი აქვთ, მცხოვრებთა ცხრა მეათედს ჩეხებს მხოლოდ ერთი თეტრი გააჩნიათ, ისიც ხალხის შემოწირულობით აშენებული; ეს თეაცრი დაჯდა 3 მილიონ გულდენად; აქედგან ერთი მილიონი 33 დღეში შეჰკრიბეს (როდესაც ძველი თეატრი დაიწვა, ისიც შემოწირულობით აგებული). პრაგის „სახალხო თეატრმა“ დიდი სამსახური გაუწია ჩეხებს: იმან შეჰქმნა მთელი დრამატიულ-სცენიური ჩეხური მუსიკა და გააძლიერა მათი საზოგადო შეგნებულობა; ამ თეატრის წყალობით ჩეხებმა მიიღეს ნამდვილი ჩეხური სახე. თუ „სახალხო თეატრი“ საჭირო იყო ხალხის და თვით დედა ქალაქ პრაგისათვის, ასეთი თეატრი ბევრად უფრო საჭიროა მორავიის სატახტო ქალაქში, სადაც კიდევ მეტი სლავიანობაა, ვიდრე პირველში; ეხლა-კი ეს ქალაქი გერმანელებს ჩაუგდიათ ხელში, როგორც ყველა სხვა დიდი ქალაქები მორავიისა. ბრონის ქალაქის თვით-მმართველობა არავითარ საშუალებას არა ჰზოგავს, რომ იქაურნი მკვიდრნი ჩეხნი გააგერმანელოს ქალაქის მმართველობამ 80,000 გულდენი გადასდო ერთხანად გერმანელთა თეატრის ასაგებად და ყოველ წლიურად ათი-ათას მანეთობით შემწეობას აძლევს; ჩეხების თეატრისათვის-კი, რომელიც ერთ უხეირო ქოხში მოთავსებული, ერთი კრეიცერიც-კი არ გაიმეტეს. როგორ არ მოგიკვდება გული, როდესაც ამ საცოდავ თეატრს შესჩერებიხარ და უყურებ, რომ გესლიანად დაგცინის მტერიო, ნათქვამია მოწოდებაში. ამ გვარად, ჩეხურ თეატრის აშენება მარტო ჩეხურ დრამატიულ ხელოვნებისათვის-კი არაა საჭირო, არამედ ჩეხთა ეროვნულ სიმკვიდრე—სიმტკიცისათვისაცაო. საზოგადოება მოუწოდებს ყველა ჩეხებს, სადაც უნდა იყვნენ იგინი, და აცხადებს იმედს, რომ ამ საერთო საერო საქმეს ყველანი თანაგრძნობით მოეკიდებიანო. რომ ეს მოწოდება საერთო, საზოგადოა მთელის ჩეხიის ერისათვის, იქედგანაც მტკიცდება, რომ ხელმოწერილია დიდებულთა პალატის წევრთაგან და მორავიისა, ჩეხიისა და სილეზიის საპარლამენტო დეპუტატთაგანაც.

ეჭვი არაა, რომ საჭირო თანხა მალე შეიკრიბებაო—დასძენს „პეტ. უწყებ.“—მაგრამ სასურველია, რომ ჩვენმა—რუსის—სლავიანთა საზოგადოებათა, მდიდარ-მეცენატთა და სხვა შეძლებულმა რუსებმაც მოაწოდონ თავიანთი წვლილი ამ კეთილ საქმის სასარგებლოდაო.

— გაზ. „Times“-ის სიტყვით, ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრეს, ერც ჰერცოგ ფრანც-ფერდინანდს — განუცხადებია იმპერატორ ფრანც იოსებისათვის — უარს ვამბობ ჩემს მემკვიდრეობითს უფლებაზე ჩემის უფროსის ვაჟის სასარგებლოდაო. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ვენისა და ბუდაპეშტის უმაღლეს საზოგადოებაში. თუ ეს ხმები გამართლდა, ბოლო მოეღება იმ დაბრკოლებას, რომელიც აქამდე არსებობდა ტახტის მემკვიდრის უთანასწორო ქორწინების გამოო.

ოსმალეთი. სოფიიდან ატყობინებენ დეპეშით „Temps“-ს: „ნევროკოპსა და მელენკის შუა მომხდარ ბრძოლაში მეამბოხეთა მხრიდან მძიმედ დაიჭრა მთავარ-სარდალი ცონჩევი, მოკვდა 23 ბულგარელი, დანარჩენნი გაიფანტნენო“.

ამის მიუხედავად, მაკედონიის კომიტეტი მეამბოხეთა მარჯვე მოძრაობის ხმას ავრცელებს; „Реформи“-მ გამოსცა სამხედრო მოძრაობის ადგილ-მდებარეობის რუკა, რომელიც შეიცავს რილისა და დოსპატის მთებს შუა მდებარე მიდამოებს; გაზეთი აცხადებს, რომ მეამბოხეთა თავ-განწირულმა ბრძოლამ გაიმარჯვაო. ეს ადგილები გაანთავისუფლეს მტარვალის ხელიდან და დააარსეს „თავისუფალი სახელმწიფო“ დროებითის მმართველობით, და ახლო-მახლო მცხოვრებნი იქ პოულობენ თავ-შესაფარსაო.

— როგორც სახალხო წყაროებიდანა სჩანს, ოსმალთა რიცხვ-მრავალი რაზმი ფრაკიაში, იენიჯეს მახლობლად, გარს შემორტყმია 30 ბულგარელ მეამბოხეს, რომელთაც, უგრძვნიათ თუ არა, ვერას გავხდებით ურიცხ მტერთანაო, იარაღი დაუყრიათ და მტერს დაჰმორჩილებიან. კროზნის მთაზე მდგარ მეამბოხეთა ბრბოების მეთაურს,—პოლკოვნიკ ნიკოლოვს, გარს ოსმალნი ახვევიან, მაგრამ პოლკოვნიკს ისეთი სიმაგრეები უჭირავს, რომ ოსმალნი ვერას დააკლებენ. აქედგან მეამბოხენი ბულგარიაში ადვილად გადავლენ და ოსმალნი პირლია დარჩებიანო.

— სტამბოლიდან იუწყებიან: „მეწამურ ზღვაზედ იტალიის სამხედრო გემმა ზარბაზნები დაუშინა ოსმალეთის პატარა კუნძულს, რომელიც ზღვის მეკობრეთა თავიანთ ბუნაგად გადაუქცევიათ; აქედგან იგინი მოსვენებას არ აძლევენ მეწამურ ზღვის პირად მდებარე იტალიელთა ახალშენებს. შემდეგ ამისა იტალიის ელჩმა მიჰმართა პორტას და მოითხოვა მეკობრეთა შეპყრობა და დასჯა, და რაც იტალიელთა ახალშენებიდან ნივთები წაუღიათ, ყოველივეს დაბრუნება. პორტამ თანხმობა გამოუცხადა და აღუთქვა, არამც თუ მეკობრეთა დავსჯი, ადგილობრივ მმართველობასაც გამოვცვლი უხეირო ქცევისათვისაო. ამავე დროს პორტამ ბრძანება გასცა, ყველა ჩვენი სამხედრო გემი მეწამურ ზღვაზედ თავ-თავის ადგილას დარჩით და ფხიზლად ადევნეთ თვალყური, რომ აღარსად გამეორდეს იტალიის მხრით ასეთი საქციელიო.

— ოკდომბრის 10-ს მიკედონიის კომიტეტს მიუღია მეამბოხე მაკედონელთა ბანაკიდგან შემდეგი ცნობები: „გენერალი ცონჩევის პირინის მთებში მოსვლას მეამბოხენი დიდის ალტაცებით მიეგებნენ. დიდძალი გლეხობა უერთდება მეამბოხეთ, პირინის მთები მეამბოხეებით გაივსო; კრესნის გასავალი გაამაგრეს. ამ დღეებში ერთ რაზმს მოუხდა ბრძოლა ოსმალებთან სოფ. ლოშკოსთან; ოსმალნი დამარცხდნენ; მეამბოხეთა ორი რაზმი გამაგრდა მელეშოვის მთებში; მათ ყოველ დღე ემატებათ მრავალი გლეხობა.

— შჩიპის მიდამოებში მეამბოხეთა რიცხვ-მრავალი რაზმი გაიყო სამად და სადაც მარჯვე ადგილები ეგულებოდათ, ყველანი გაამაგრეს. ბელასიცის ჩრდილოეთი ფერდობები მეამბოხეთა ხელშია.

— ამავე დღეს ბულგარიის საზღვარ ფეკერსკჩუკიდან ატყობინებენ დეპეშით სოფიას:

საზღვარზე დიდი მღელვარებაა: მაკედონიიდამ გამოქცეულნი საზღვარზედ მდებარე მთებში გაიხიზნენ. მაგრამ მალე დაიწყო ყინვები და საბრალონი იძულებულნი გახდნენ ბარად სოფ. რილსა და ქალ. დუბნიცას ჩამოსულიყვნენ. მთელი თავიანთი ქონება მთებში დასტოვეს უპატრონოდ ბავშვებისა და ოთხფეხთა მცირე ნაწილის გარდა. მამაკაცები აცილებენ ოჯახობას საზღვრამდე და მერე მეამბოხეებს უბრუნდებიან. გუშინ სოფ. მეშჩანეციდან თოფ-ზარბაზნის გრიალი მოისმოდა. როგორც ეტყობოდა, ბრძოლა ძლიერი უნდა ყოფილიყოს: 5—6 ზარბაზნის ხმა ერთად მოდიოდა.

დღეს იქით მთები კვამლით არის დაბურული. ეჭვს გარეშეა, რომ იქ ან მოშჩანეცი იწვის, ან პადეჟი. პეტრიჩუს მხარესაც თოფ-ზარბაზნის ხმა ისმის. მაკედონელები იკრიბებიან პატარა რაზმებად და მედგრად ებრძვიან მტერს. ოსმალების ზარბაზნები სრულიადაც ვერ აშინებენ მათ. გენერალმა ციანჩევმა იკისრა მეამბოხეთა მთავარ-სარდლობა. ბევრ ადგილებში აპირებენ აჯანყებას. საქმე თანდათან მწვავდება“.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

„შრომის ლუკმა“ კომ. 4 მოქმ. ოსტროვსკისა, თარგმნ. ა. ევდოშვილის მიერ. „შრომის ლუკმა“-ში ის აზრია გამოთქმული, რომ ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენიო და, თუ შენს პურს არსობისას პატიოსნურ შროშრომის საწრთობში არ გაატარებ,—ვერც იგემებო.

აზრი, რაღა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ მაგარი იმაში მდგომარეობს, რომ ეს აზრი მხოლოდ გამოთქმულია და არა პიესის სისხლხორცში გამჯდარი, ე. ი., იგი როდია ის უმთავრესი ძარღვი, რომელიც უნდა ასულდგმულებდეს პიესის ყოველ გმირს.

და ეს-კი იმის ბრალია, რომ პიესაში ამ აზრის გამო მხოლოდ ლაპარაკობენ და ისიც მარტო წარსულის შესახებ; ამ რიგად, ეს ლაპარაკი „შრომის ლუკმის“ შესახებ პიესიდგან რომ გამოვტოვოთ, პიესა ისევ იმადვე დარჩება, რაც ახლა არის, მას არაფერი დააკლდება.

ან იქნება ის უნდა მივიჩნიოთ შრომის ნიშნად რომ კარპელოვი (ვ. აბაშიძე) თავისს მეგობრებს ფულს ესესხება და ყველასაგან უარს მიიღებს, ან კიდევ—სტუდენტი გრუნცოვი (ვ. გუნია) სულ იმასა სცდილობს,—საათი დააგიროს როგორმე და არავინ იგირავებს ამ საათს.

არის კიდევ ერთი წარმომადგენელი მშრომელთა ჯგუფისა—ივანე ჩეპურინი—მედუქნე (დ. აწყურელი) და ამის შრომაც იმაში მდგომარეობს, რომ ყოვლთ-უწინარეს გაგვაცნობს თავისს ვინაობას, ე. ი. შრომისა და გარჯის წყალობით მე, არა-რაის მქონე, ახლა ვაჭარი გახლავართ და დიდი სურვილი მაქვს ნატალია სიზაკოვისა (ქ-ნი ლეჟავა) შევირთო

გადასცა იჯარით. თუმცა ამ საქმის აღების მსურველნი სხვებიც იყვნენ და ბევრნიც იყვნენ, მაგრამ კერძო კაცთა წინაშე ამ შემთხვევაში უპირატესობა საზოგადო დაწესებულებას მიეცა. გვეგონა, ჩვენს ნდობას ერთის მხრით და თავის სახელსა და რეპუტაციას მეორეს მხრით, ეს საზოგადოება არ უღალატებდა. ხელ შეკრულობის ძალით მოიჯარადრეებს ყოველგვარი სურსათ-სანოვაგე და სხვა სახმარი ნივთი, რაც-კი აგარაკისათვის საჭირო იყო, უნდა ჰქონოდათ გასასყიდი. ამათ შორის გამომცხვარი პური პირველის ხარისხისა უნდა გაეყიდნათ გირვანქა 5 კ., ხორცი არდაგნულ საქონლისა გირ. 9 კ., აჭარულისა—7 კ. დანარჩენ სავაჭროს ოზურგეთის მაზანდის მიხედვით თითოეულ ფუთზე გადასატანი 50 კ: უნდა მიემატებოდა. ხელშეკრულობაში არ იყო დავიწყებული აგრეთვე ისიც, რომ ყველაფერი კარგი და სადი უნდა ყოფილიყო, რომ წონასა და ზომაში არავინ მოტყუებულიყო, რომ მუშტრებს ზრდილობიანად მოპყრობოდნენ და სხვ.

დადგა სააგარაკო სეზონიც. ხალხმა ნელნელა იწყო ბახმაროსაკენ გამგზავრება. ჩვენმა მოიჯარადრეებმაც გააჩაღეს ვაჭრობა. მოჰრეკეს შავისა და წითელის ფერის საქონელი. როცა შავს დაჰკლავდნენ, ამბობდნენ, აჭარულიაო. წითელს დაჰკლავდნენ და არდაგნულის ფასად ჰყიდდნენ. მოაგარაკენი არც ისე სულელნი იყვნენ, რომ ამ ოინს ვერ მიმხვდარიყვნენ. აკი მიხვდნენ და „პროტესტიც“ განაცხადეს: ეს საქონელი მხოლოდ ფერით განირჩევა ერთმანეთისაგან, ხორცი-კი ყველას აჭარული აქვს და აჭარულის ფასიდაც უნდა იყიდებოდესო.

შესდგა საზოგადო კრება, უკეთუ ასეთი სახელი დაერქმევა, რადგანაც იმ დროს ბახმაროზედ მოაგარაკეთა რიცხვის ნახევარიც არ იქნებოდა თავმოყრილი. გაიმართა ბჭობა, თათბირი, ბაასი, კამათი და კინაღამ მუშტიკრივიც. მოიჯარადრეები, როგორც იყო, გამოტყდნენ, რომ არდაგნულ საქონლისა ერთი გირვანქა ხორციც არა ჰქონდათ და სულ აჭარულის ხორცით უმასპინძლდებოდნენ მოაგარაკეებს. არდაგანში საქონლის ჭირიაო— სთქვეს იმათ და ამიტომ იქიდგან საქონლის მორეკა შეუძლებელი იყოვო. მოაგარაკეებმაც ძალაუნებურად დაიჯერეს ეს შეუმოწმებელი, ჯეროვან საბუთს მოკლებული ამბავი და ისევ აჭარულ ხორცს დაყაბულდნენ, რითაც უეჭველ განსაცდელში ჩააგდეს თავიანთი კბილებიცა და სტომაქიც. აჭარულ ხორცს ხარშვა რომ არ ეკიდება, მდუღარე რომ ვერაფერს აკლებს, ადამიანის კუჭმა როგორღა უნდა მოინელოს, ფოლადის დანა რომ ვერ სჭრის, ადამიანის კბილებს იქ რა კარგი დღე დაადგება? მერე ხომ მოგეხსენებათ ახლანდელ ადამიანთა კუჭისა და კბილების ამბავი, როცა ასში ოთხმოც-და-ცხრამეტს კუჭის ავადმყოფობა სჭირს და ერთი იმდენი კიდევ კბილებ დაზიანებულია, ან სრულიად უკბილო! ისიც ხომ უწყებული გაქვთ, რომ აგარაკად უფრო სუსტის ჯანისა და ღონის პატრონი ხალხი გროვდება, რომელსაც, რომ გამობრუნდეს, ჯანი და ღონე შეივსოს, ჰაერს გარდა, რიგიანი და მარგებელი სასმელსაჭმელი ესაჭიროება. ხოლო აჭარელი ხორცი. ისეთი მაინც. როგორსაც წელს ბახმაროზედ ჰყიდდნენ, ასეთ ღირსებას ყოვლად მოკლებული იყო.

„ბერი ხარის ხეღნას დაკვლა სჯობსო“, ნათქვამია და ამ თქმულებას არც ჩვენმა მოიჯარადრეებმა უღალატეს. სულ ბებერ-ბებერისა, დაავადებულისა და სახედნად უვარგის საქონლის ხორცი გვაძლიეს და მით ტანჯვა გაგვიორკეცეს. ჩვენთან ერთად ჩვენი ქვაბებიცა და დანებიც სიბრალულის ღირსნი გახდნენ. ქვაბებს ნიადაგ ცეცხლზე დგმით ფსკერები მოეშალათ, დანებს კიდევ სამუდამოდ დაუჩლუნგდათ კბილები. ვერც პირველნი და ვერც მეორენი უოპერაციოდ ვერ მორჩებიან. მაგრამ ამათი ოპერაცია არც ისე ძნელი და ძვირია. თქვენ ისა ბრძანეთ, თითონ ჩვენ რა გვეშველება, უკეთუ კუჭიცა და კბილებიც საოპერაციოდ გაგვიხდა?

ახლა სასმელისას არას იკითხავთ? ღმერთმა უშველოს ისევ „გურიელის წყაროს“, რომელიც ეგრე დაბროლებული, ეგრე ანკარა და ეგრე უზადო გადმოჩუხჩუხებს და რომელსაც ფალსიფიკატორი, ყალბის მომქმედი მარჯვენე ადამიანისა ვერ შეჰხებია. თუ ეს წყარო არა, თქვენი მტერი, ბახმაროს მოაგარაკენი წყურვილით დავიხოცებოდით, რა-კი სხვა სასმელს ვერ ვიშოვიდით. ჩვენმა მოიჯარადრეებმა აქაც გაგვწირეს და გაგვიმეტეს. ისეთი ღვინო შემოგვთავაზეს და ისიც საარაკო ფასად, რომ მირონცხებულის კაცისაგან ცოდვა და სირცხვილი არის იმისი ღვინოდ წოდება. თქვენ თითონ წარმოიდგენთ, რა ღირსების ღვინო უნდა იყოს ბათუმში ნავაგლახევი და ისიც განჯის ღვინო. იარლიკზე, თუ არ ვსცდები, ვიღაც გუმმელის ფირმა იყო გამოცხადებული, პირველი №-რი ეწერა და ბოთლს შვიდ შაურად და ორ აბაზად ჰყიდდნენ. აჭარული ხორცი და ეს ღვინო, „ფერი ფერსაო“ რომ იტყვიან, სწორედ ისე ამშვენებდნენ და ამკობდნენ ერთმანეთს.

აქ უნებურად მაგონდება ერთი ამბავი, რომელიც სადღაც და ოდესღაც წამიკითხავს და. რომელიც, იტალიურ ანდაზისა არ იყოს, თუ მართალი არ არის, კარგად ნათქვამი მაინცაა (Si non é vero, é ben trovato). საფრანგეთში ამას წინად ერთი მეღვინე თურმე კვდებოდა და სიკვდილის წინ შვილისათვის დაუბარებია: ეს არის, შვილო, მაგრამ მშვიდად და აღუშფოთებლად ვკვდები, რადგანაც ისეთ საიდუმლოს განდობ, რომლის წყალობითაც გაუჭირვებლად შეგიძლია იცხოვრო და თავი შეინახოვო. იცოდე, რომ ღვინო ყველაფერისაგან გაკეთდება, ხოლო, თუ მაინცა და მაინც გაგიჭირდეს და სხვა საშუალება აღარ იყოს, თუმცა ცოტა ძვირად-კი დაგიჯდება, მაგრამ ყურძნის ღვინოსაც არა უშავს-რაო.

არ ვიცი, ეს უსასყიდლო ხვაშიადი საფრანგეთიდგან შემოგვეპარა, თუ ჩვენმა მეღვინეებმა, საკუთარის ნიჭითა და მაღალგონიერებით გაიგეს, რომ ღვინის გაკეთება ყველაფრისაგან შესაძლებელია; მაგრამ ის ხომ ყველასათვის ცხადია, რომ ახლა ნამდვილ ყურძნის ღვინოს იშვიათად თუ სადმე ჰყიდიან.

რაც შეეხება ბახმაროს დუქნის პატივცემულ მოიჯარადრეებს, ის უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ყალბის ღვინის შუამავლობა იკისრეს და კარგის ღვინის მოსაპოვებლად უფრო საიმედო ფირმასთან არ დაიჭირეს საქმე. ალბად დიდ მოსაგებს გამოუდგნენ და ეს ბრალდება მით დაიმსახურეს. თორემ სხვა რიგად როგორ უნდა აიხსნას ის გარემოება, როცა ბოთლი ორ აბაზად კახელ მევენახეთა ამხანაგობის ღვინოც შეეძლოთ მოეტანათ და სვირის ღვინოს ხომ კიდევ უფრო ნაკლებ ფასად დაისვამდნენ. მაგრამ რა ღვინო, რა ხორცი და რა სხვა! რამდენადაც მათგან მოსახერხებელი იყო და რამდენადაც მოაგარაკეთა მოთმინება-სულგრძელობის ამბავი იცოდნენ, ყველაფერში ითაღლითეს. შაქრის ღირსიც-კი არ გაგვხადეს, თუმცა არც სულ უშაქრობა იყო. პაწაწა ნაჭრებად ჩამოყალიბებულ, ვითომდა მზა-მზარეულ შაქარსა ჰყიდნენ, რომელიც ცხელ ჭიქასთან მიტანის უმალვე დნებოდა. ეს საშაქრეთის შემარცხვენელი შაქარი კიდევ იმითია შესანიშნავი, რომ სიტკბოსთან ცოტა მწყრალად ბრძანდება, ხოლო სხვა ნაირი სიყალბე და დარღუბალა ბლომად ურევია. რაც უნდა ანკარა წყალით გაკეთებულ საუკეთესო ჩაისათვის იხმაროთ ეს შაქარი, იცოდეთ ჩაის ამღვრევს, ჭიქაში ათასნაირი წვრილი წერტილები, მძიმეები და დაკლაკნილი ხაზები აირევა, რომელიც, ვინ არის თავდები, რომ თქვენ კუჭშიაც არ მოახდენს არეულობასა და ამბოხებას. სანთელი იყო და ისიც რაღაც განსაკუთრებულის, რაღაც ახირებულის თვისებისა. მოუკიდებდით თუ არა, მაშინვე ტკიცინს დაიწყებდა, თითქო დრტვინავდა, რა დანაშაული მაქვს, რომ ცეცხლი წმიკიდეთ და მწვავთო. ის-კი არა და შიშიც შეგეპარებოდათ გულში, ასაფეთქებელი რამ წამალი არ იყოს მაგ ოხერ სანთელში მოთავსებული და აგრე ანაზდეულად პატრონს არ ჩავბარდეო. ამასობაში კიდევაც გაჰქრებოდა. ხელ-ახლა მოუკიდებდით და ხელ-ახლა გამეორდებოდა იგივე ტკიცინი, იგივე შიში და იგივე გაქრობა. ერთი სიტყვით ბახვის მომხმარებელთა საზოგადოებამ, რომლისათვისაც დიდად საიმედო სახელი „დახმარება—ПОМОЩЬ“ დაურქმევიათ, წლევანდელ სეზონში ვერ გაგვიმართლა ვერც თავისი სახელი, ვერც ჩვენი იმედი და ვერაფერი შველი დახმარება ვერ გაგვიწია. უკაცრავად ვარ, მაგრამ რა ვქნა!

ვინც არ არის კახაბერი,
მას ვერ ვიტყვი კახაბერად.

მაგ თქვენს ბახმაროში თუ არც ბინა იშოვება ხეირიანი, თუ არც სასმელ-საჭმელი მოიპოვება რიგიანი, თუ არც სანიტარულა ვითარებაა სასურველ მდგომარეობაში, თუ არც მისასვლელი გზაა უშიშარი და უხიფათო, მაშ, რაღა პრასა-ბოლოკია და რის გულისათვის გროვდებიან აქ მოაგარაკენი? იკითხავს გაოცებული მკითხველი და სრული საბუთიანობითაც იკითხავს, მაგრამ ნებას ვითხოვ, ეს წერილი აქ დავაბოლავო, ხოლო მკითხველთა სამართლიან ცნობის მოყვარეობას ამ საკითხის შესახებ შემდეგ გავსცე პასუხი, რამდენადაც ამას ჩემი წვერმოტეხილი კალამი მოახერხებს.

კნინი.

და იმისი ექვსასი თუმანი, დედისაგან დატოვებული, ჩემს ვაჭრობის საქმეში დავატრიალოო.

მცონარეთა ჯგუფის წარმომადგენელი ამ პიესაში ორი ადამიანია: პატროხოვი (ბ-ნი გედევანოვი) და კაპროვი (ბ-ნი შათირიშვილი), მაგრამ დიდი უსამართლობა იქნება ამათ მცონარე დაერქვას. პატროხოვი ნამოხელარია, გამდიდრებული და ახლა, ჯერ ერთი მეტისმეტის სისქის გამო და მეორეც უსაქმობისა, მოწყენილია და ძილსა და გოგოს არშიყობაში ატარებს დღეს; მეორე-კი, კაპროვი, სულ იმის ფიქრშია ვინ მუატყუოს, რომ ფული ულეველად ჰქონდეს; და სწორედ, მის გაიძვერობის მსხვერპლად სიზაკოვისა ხდება, რომელსაც სიყვარულით მოაჯადოვებს, შეგირთავო--დაჰპირდება და ფულებს დასტყუებს.

მხოლოდ ძნელი გამოსაცნობია, რომელნი უფრო მეტსა შრომობენ—პირველი ჯგუფის წარმომადგენელნი თუ მეორისა? ლაპარაკით-კი ყველანი ბევრსა ლაპარაკობენ.

ერთის სიტყვით, პიესაში „შრომის ლუკმის“ უმნიშვნელო ადგილი უკავია; მასში არიან მხოლოდ ერთის მხრით პატიოსანნი და მეორეს მხრით უპატიოსნონი და, რადგანაც მათ მიმართულებათა შორის ნამდვილი ბრძოლა არა სწარმოებს, ამისათვის პიესასაც აკლია მოძრაობა, ცხოველი სული.

თავისთავად, კერძოდ აღებული ტიპები ამ კომედიისა, მაგალითად კარპელოვი და პატროხოვი, მშვენივრად არიან დასახულნი,

კარპელოვი, ეს „კაცის მაგიერი და არა კაცი“, როგორც თითონ ახასიათებს თავისს თავს,—სრული განხორციელებაა რუსის ბუნებისა. იგი თავისის არსებით მოგაგონებთ ცხოველ აზრს, უშნო და ულაზათო ფორმით გამოთქმულს. იგი სასაცილოა, როდესაც ქვეყანას შერყევას უმუქრის, განადგურებას; მაგრამ ცრემლსა გგვრით, როცა უილაჯობის გამო გულ ამოსკვნით ტირის, განსაკუთრებით გადაკრულში რომ ბრძანდება.

პატროხოვიც თავით-ფეხამდე რუსია—რუსი უკვდავ გოგოლის მიერ დახატულ ნ. ზდრიოვის მაგვარი. მართალია, იგი კნინი არსებაა, მაგრამ ერთი შესანიშნავი თვისება სჭირს: თითონვე ჰგრძნობს თავის სულიერ სიღატაკეს და არის იმისთანა წამები, როცა ეს შეგნება მას ცრემლსაც-კი აფრქვევინებს ხოლმე. კაპროვზე მხოლოდ ის ითქმის, რომ იგი სრულის სავსებით „მოსკოვის ჟულიკია“. დანარჩენი გმირნი პიესისა, განსაკუთრებით ქალები, არ არიან მაგრე რიგად საყურადღებონი.

ჩვენს საზოგადოებაში ხშირად გამიგონია, რომ ოსტროვსკის გმირების გაპიროვნება ქართველ მსახიობთ ვერ ეხერხებათო. ვინც კვირა დილის წარმოდგენას დაესწრო,ის,დარწმუნებული ვარ,არ დაეთანხმება ხსენებულ აზრს, რადგანაც „შრომის ლუკმა“ იშვიათის ლაზათი და შნოთი იყო წარმოდგენილი. ბ. აბაშიძე სწორედ რომ სულში ჩასძრომია კარპელოვის არსებას და ამოუკრებია ამ ადამიანის სულიერ საგანძურისაგან ყველა ის თვისება, რაც-კი დამახასიათებელია მისი. ჰომერიულს, თავ-დაუკავებელ სიცილს, რომელსაც იწვევდა მსახიობის ესა თუ ის მოძრაობა, წამ-და-უწუმ სცვლიდა უნებური ცრემლი, თქვენს თვალზედ მომდგარი, როცა მსახიობი გისახავდათ კარპელოვის უსასოებას. ბ. აბაშიძემ გვიჩვენა სრულიად ახალი თვისება მისის ნიჭისა; არავინ დაიჯერებს, რომ ვსთქვათ, ვ. აბაშიძის თამაშობამ ცრემლი მოგვგვარა თვალზედაო, მაგრამ ვისაც ეს არა სჯერა,—ჰნახოს იგი კარპელოვის როლში და თითონვე დარწმუნდება.

ბ. გედევანოვმა ხელოვნურად გააპიროვნა პატროხოვის დაწვრილმანებული, ხავს მოკიდებული ადამიანობა. მშვენიერი გრიმი ჰქონდა; შეუდარებელი იყო მისი ქონ-მოკიდებული სახე და თვალების უსიცოცხლო გამომეტყველება.

ბ. შათირიშვილმა ვერ დაგვაკმაყოფილა. თამაშობა მისი იყო ზომიერი და შესაფერი, მხოლოდ ერთი რამ აკლდა და ეს ერთი რამკი კაპროვის როლის აღმასრულებელმა ყოველთვის სახეში უნდა იქონიოს. შათირიშვილის მიერ გაპიროვნებული კაპროვი როდი იყო პირბადეს მატარებელი ადამიანი; იგი ჰგავდა დარდიმანდს, მგრძნობიერ და გულწრფელ კაცს; ეს ასეც უნდა იყოს, მხოლოდ მათ და შესახებ, ვისაც იგი ატყუებს, მაგრამ საზოგადოება-კი უნდა მიჰხვდეს მისს სიყალბეს; მსახიობმა უნდა დაგვანახვოს ის ავაზაკური ბუნების ადამიანიც,რომელიც კაპროვის ზურგს უკან იმალება. შათირიშვილმა-კი ეს ორგვარობა კაპროვისა არ გვიჩვენა.

ქ-ნი ლეჟავასა და რონელის (ევგენია) შესახებ აქ არას ვიტყვით, რადგანაც სიტყვა ისედაც გაგვიგრძელდა და რადგანაც აზრადა გვაქვს მათ შესახებ ვრცლად მოვილაპარაკოთ, როცა უფრო შესაფერ როლებში ვნახავთ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ საზოგადოებამ იგინი საკმაოდ მოიწონა.

ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა ზედ-გამოჭრილი „კუხარკა“ იყო: ჩაცმა-დახურვით, სიტყვა-პასუხით და გამურულის სახით. საზოგადოება თვით დრამატიულ მომენტების დროსაც ვერ იკავებდა სიცილს, როცა მას სცენაზედ ჰხედავდა.

ქ-ნი ნათელი ჩვენის სცენის ჰორიზონტზედ მეტად ბინდ-ბუნდოვანი მანათობელია და პელიქსენას როლის აღსრულების დროს ხომ სრულიად ჩაქრა.

კიდევ საყვედური ბ-ნ რეჟისორისადმი, როლების შეუფერებლად განაწილების გამო. ბ-ნი აწყურელი სრულიად არ შეესაბამებოდა მედუქნე ჩეპურინს და უფრო „მალიარსა“ ჰგავდა, ვიდრე გამდიდრებულ რუსის მედუქნეს, რომელიც სიზაკოვის ქალის შერთვას აპირებს და კიდეც ახერხებს. ეს-კი იმის ბრალია, რომ აწყურელს თავის შესაფერი როლი არა ჰქონდა. აწყურელს უნდა ეთამაშნა სტუდენტის გრუნცოვის როლი და გუნიას—ჩეპურინისა. მაშინ გრუნცოვი უფრო ოხუნჯი და ცოცხალი ადამიანი იქნებოდა და ჩეპურინი-კი—კისერ სქელა და მუცელ ბღინძა ვაჭარი. ამით ორივე როლი უფრო გაუკეთესდებოდა და პიესაც ბევრს მოიგებდა.

წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო. უფრო-კი მოსწავლე ახალგაზდობა იყო. მსახიობნი საზოგადოებამ ტაშისკვრით მრავლად დააჯილდოვა.

სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ოსტროვსკის კომედია მშვენიერის ენით არის ნათარგმნი.

—

ოპერა. სამშაბათს თავ. წერეთლის საოპერო დასმა წარმოადგინა ტფილისისათვის ახალი ოპერა ჟ. ბიზესი „მარგალიტის მაძიებელნი“. როგორც თვით ოპერა, აგრეთვე აღმასრულებელნი და განსაკუთრებით ბ. ბროჯი-მუტინი, საზოგადოებამ ძალიან მოიწონა. გამოწვევას და ტაშის-კვრას დასასრული არა ჰქონდა. ოპერა მშვენივრად არის მოწყობილი და პარტიებიც შესაფერად განაწილებული. ორკესტრს ჩვეულებისამებრ შეუდარებლად ხელმძღვანელობდა ბ. შტეინბერგი. დასაწყისში ცოტა არ იყოს ხორო მოისუსტებდა, მაგრამ შემდეგში გასწორდა და ძლიერის გამომეტყველებით მღეროდა თავისს საგალობლებს, განსაკუთრებით-კი მეორე მოქმედების ფინალში. ქ-ნ ვან-დენ-ბრანდტი, ავადმყოფობის გამო, ვერ იყო ისე მომხიბლავი, როგორც ყოველთვის არის ხოლმე.

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. ეჭვ-გარეშეა, ეს ოპერა არა ერთხელ მრავლად მიიზიდავს მაყურებელთ, რადგანაც იგი ყოვლის მხრით საგულისხმიერო ნაწარმოებია.

—

კვირას, 27 ოკდომბერს, ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრში დანიშნულია წარმოდგენა „გაცრუებული იმედები“ აზიანისა. წარმოდგენის შემდეგ კონცერტი გაიმართება.

ამ მოკლე ხანში სახალხო წარმოდგენის სექცია წარმოადგენს ავ. ცაგარლის ახალ პიესას „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შანაო“, ოთხ სურათად.

ნარკვევი

„С.-Пет. Вѣд.“-ში მოთავსებულია ბ-ნ კავკასიელის წერილი კავკასიაში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ. ავტორი წერილისა, ეხება-რა იმ გარემოებას, რომ კავკასიაში 20 საშუალო სასწავლებელია, რომლებიც სრულიად სავსეა მოსწავლეებით, განაგრძობს:

> „კავკასიაში ყოველ წლობით საშუალო სასწავლებელში 1000 ყმაწვილი ათავებს სწავლას, მათ შორის ნახევარზე მეტი რუსებია, რომლების მშობლები კავკასიაში სცხოვრობენ და იქვე მსახურებენ. წარმოვიდგინოთ, რომ 60% ახლად კურს დასრულებულთა მოინდომებს სწავლის განგრძობას რუსეთში, ხოლო 40% საკმარისია რომ მოსწავლეთა მხრით უნივერსიტეტქა ან პოლიტეხნიკუმმა იარსებოს. ესეც რომ არ იყოს, კავკასიაში უმაღლესის სასწავლებლის დაარსებას ყოველივე ხელს უწყობს, მაგ. ბუნების სიმდიდრე, რომლითაც დაჯილდოვებულია კავკასია, ხელს შეუწყობს ისეთ ცოდნის განვითარებას, როგორიც არის სამადნო სამეურნეო, საინჟინერო, საეკონომიო და სხვა მეცნიერება. თუ კავკასიის დასათვალიერებლად, მის მეცნიერულად შესწავლისათვის უცხოელები მოდიან; იგინი სამუდამოდ დარჩებიან კავკასიაში, როცა უმაღლეს სასწავლებელს დაინახვენ.
>
> მაგრამ საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს აგრეთვე იმ გარამოებას, რომ კავკასიის მცხოვრებნი (მათ რიცხვში რუსები, რომლებიც იქვე დაიბადნენ და იქვე აღიზარდნენ). შეჩვეულნი ზომიერ, თბილ და მთის ჰავას, სრულიად ვერ იტანენ რუსეთის სასტიკსა და მძაფრს ზამთარს. მაგალითისთვის შორს არ გვინდა წასვლა: ამ მოკლე ხანში ერთმა უბედურმა დედამ ტფილისში ორი შვილი ზედი-ზედ მიაბარა მიწას; ისინი რუსეთში სწავლობდნენ უნივერსიტეტის პირველ კურსზე. მათ რომ კავკასიაშივე განეგრძოთ სწავლა, დღეს ეს ორი სტუდენტი შვილი დედას ცოცხალი ეყოლებოდა. თქმულიც საკმარისია იმის გასათვალისწინებლად თუ რა ნაირად უჭირს უმაღლესი სასწავლებელი კავკასიას“.

წრფელის გულით ვისურვებთ, ბ-ნ კავკასიელის წადილი მალე განხორციელებულიყოს და ჩვენს შვილებს შესძლებოდეს უმაღლესი სხავლა-განათლება ჩვენშივე მიეღოთ.

ნარევი და ნაკვესი

ეშმაკის იდეალი

ეშმაკმა სთქვა, სიმართლეზე
რომ ვიარო, შავცდებიო
და ტარტაროზის წინაშე
სასაცილო გავხდებიო.

—

ეშმაკთ გუნდი ჩამაქვავებს,
მათთან ვეღარ დავდგებიო;
მომისპობენ მთლად სიცოცხლეს,
მკვდარი ვეღარ ავდგებიო.

—

ისევ ის სჯობს, ვიქვემძრომო
და მართალი გავაბრუნდო;
ბოროტება ვთესო ყველგან
და შევიქმნა ქვეყნის უნდო.

—

სად სიმართლე იფურჩქნება,
დავიბადო სწრაფლად იქო;
გავუწყვიტო მართალს ქნარი,
მაბეზღრობით თავი ვიქო.

—

მაშინ ჰნახავთ ეშმაკების
სიხარულს და ფრენასაო:
მუნჯნი, ყრუნი, ბრუციანნი
ამოიდგმენ ენასაო.

—

მეჯლისობას რომ გაჰმართვენ
მხეც-ნადირნი ლხენასაო,
ყველა ერთად შესძახებენ,
მართალს ვგლეჯავთ ენასაო:

—

კუდიანნი ქსელსა ჰქსოვენ
ობობასებრ ხაფანგათო,
და შიგ აბმენ მართლის მთქმელსა,
აწამებენ ვაგლახათო.

—

ვაშა ეშმაკთ, ვაშა ქვემძრომთ,
ბოროტების მამებსაო,
სიმართლისა წინაშე რომ
გაილესვენ დანებსაო

იაგო ტეტუნაშვილი.

სასამართლო

ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის საქმეთა დეპარტამენტში გარჩეულ იქმნა გუშინ, 23 ოკდომბერს, საქმე ცოლ-ქმარ ამალია და გრიგორ კობახიძეთა, რომელთაც ბრალდებოდათ შეურაცხყოფა სიტყვითა და მოქმედებით ჟანდარმთა ოფიცრის ზასიპკინისა და სამოქალაქო პოლიციის. ბრალდებულთ იცავდა ნაფიცი ვექილი ივ. ს. ჯაბადარი. ეს ოფიცერი მივიდა ღამის 1 საათზედ ამ წლის 22 მარტს, კობახიძეებთან სახლში ტფილისს მათის შვილის სტუდ. ლეონიდეს ბარგის გასაჩხრეკად. მანამ კობახიძეები კარების გაღებას მოასწრებდნენ, ზასიპკინმა უბრძანა პოლიციას, ძალით გაეღეთ კარებიო. ნამძინარევი სახლის პატრონები, პერანგის ამარა დახვდნენ და გაბოროტებულმა ცოლმა მიაძახა ოფიცერს: „Чортъ знаетъ, что такое! Такъ врываются только кинтушки“! (ეს რა ღვთის რისხვაა! ასე მხოლოდ კინტოები უვარდებიან ხალხს სახლში!) ბარგის გაჩხრეკის დროს, იმავე ამალიამ კომოდიდან ამოიღო სამგლოვიარო ლენტი თავის გარდაცვალებულის შვილისა, დასდო სტოლზედ და ლენტის ბოლო ხელზედ მოჰხვდა ოფ. ზასიპკინს და ეს იყო ვითომ მოქმედებით შეურაცხყოფა. ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა თანახმად სასჯელთა დებულების 285 და 286 მუხ. ძალით გრ. კობახიძეს 10 მან. ჯარიმა და ამალიას 4 თვე ციხე. პალატამ ამალია 285 მუხ. ბრალდებისაგან გაამართლა და 286 მუხ. ძალით ცოლ-ქმარს 10 მან. ჯარიმა მიუსაჯა მხოლოდ.

წერილი
რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთ „ივერიის“ საშუალებით დიდი მადლობა გამოვუცხადო, როგორც ჩემის მხრივ, ისე კომიტეტის მონდობილობით ქვემო დასახელებულთ, რომელთაც შემოსწირეს ხევის სახალხო კითხვების სასარგებლოდ: პედ. იაკობ გოგებაშვილს —2 მ., ე. კ.—2 მ., გაბრიელ ყაზბეგს—2 მ , №№-ს —2 მ., მღ. ვ. კარბელაშვილს—„ცისკარი“ (1 მ. 50 კ. ღირებ.), პარმენ ჯავახიშვილს—1 მ., ვახტ. თულაშვილს—1 მ., მღვ. პ. კარბელაშვილს—50 კ., პეტრე ნასიძეს—50 კ. და შ. ქ.—50 კ.. დიდ მადლობას ვსწირავთ ქ-ნ ელისაბედ ნაკოლოზის ასულს ყაზბეგსაც ამ შეწირულებათა შეკრებისათვის.

ბლ. მღვდელი ნიკიფორე კანდელაკი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

22 ოკდომბერი.

რენი. მოვიდა კიშინევს მიმავალი ბოლგართა დეპუტაცია, რომელიც მინსკის 54 პოლკისათვის ბოლგარიის მთავრის სურათის გადასაცემად მიემგზავრება.

კონსტანტინეპოლი. პორტამ გამოაცხადა, რომ საქმე შესახებ მეკობრეთა თავდასხმისა მეწამულ ზღვაში მოწესრიგებულ საქმედ უნდა ჩაითვალოსო. ქვეყა „ჰიემონტის“ უფროსის თვითნებობაა.

მინსკი. „მინსკი ლისტოკს“ გადაერქვა „სევერო-ზაპადნი კრაი“.

კონსტანტინეპოლი. პორტამ იტალიის მთავრობას სხივარი მისცა იტალიის გემს „პიემონტზე“, რომელმაც სროლა დაუწყო კუნძულ მიდის მეკობრეთ და მოითხოვა გაშორება ორის ოსმალეთის გემისა. ოსმალეთის სელჩოს რომში დაევალა მოხსენების წარდგენა.

23 ოკდომბერი

მოსკოვი. ნევროპატოლოგ-პსიხიატთა საზოგადოებამ გარდასწყვიტა პროფ. კოჟევნიკოვის სახელობაზე ნევრო-პატოლოგიურის ინსტიტუტის დაარსება.

პარიჟი. ვენეცუელთა ჯარმა სრულიად დაამარცხა ინსურგენტთა რაზმი სან-მატეოში. გენერალ მატოსი გაიქცა.

პეკინი. უმაღლესი ბრძანებით, მეოთხე კლასის მოხელეს სამშობლოს სიყვარულისთვის მიენაჭა პირველი კლასის მანდარინის უფლება, იმისთვის რომ მან საიდუმლოთ შემოიტანა 1000 თოფი და 300,000 პატრონა, თუმცა იმპერატორის დეკრეტით აღკრძალული იყო იარაღის შემოტანა.

ლონდონი. ახალშენთა და მთავრობის შორის კონფერენციის თაობაზე, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ საიმპერატორო კონფერენციის მოწვევა პოლიტიკურის საქმეების განსახილველად შესაძლებელია, ხოლო ამის შესახებ პირველად ახალშენთა წარმომადგენლებმა უნდა აღძრას საქმე.

სოფია. გენერალი ცონჩევი, რომელიც ოსმალებთან შეტაკების დროს დაიჭრა, საზღვარს უკვე გასცილდა და 22 ოკდომბერს რუპნიცას მივიდა, ღონელმა კრებაზე განაცხადა, რომ მთავრობა ეცდება აჯანყებულთა გუნდი მაკედონიაში არ გაუშვას, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ დიდი სახელმწიფონი მოითხოვენ, რომ ბერლინის ხელშეკრულება დაცულ აქმნასო.

ჯუმაისა და რაზლოგში შეტაკება ისევაა. წინამძღოლნი ზლატკორი და პასხალი მძიმედ დაიჭრა, ხოლო სამზღვარს-კი გასცილდნენ,

პეტერბურგის ბირჟა, 15 ოკდომბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,37½
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,, ...	46,25
პარიჟში ,, ...	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99¼ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. . . . მამულო ბანკისა . . .	94½
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	356½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	288 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	82¼ მყიდ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	89⅜ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9,400 გაყ.
აქციები ,, ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	365 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	190 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	—

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ დეპარტამენტში დანიშნულია შემდეგ სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

26 ოკდომბრისათვის

7. ნატალია დავითის ასულის კონტრიძისა და თევდორე ხუნდაძის დავა.
8. თ—დ ივანე მაჩაბლის, ბათაშვილის, თიგიშვილისა და თიბილაშვილის საქმე.
9. სოფრომ ვარაზაშვილისა და ერმინე ომანიძის დავა.
10. აკიფ-ეფენდი დერვიშ-ალა-ზადეს ობლების და ვასილ სიხარულიძის ობლების დავა.

განცხადება

ქველ-მოქმედთა საყურადღებოდ.

შეუძლებელი ქართველი კაცი, რომელსაც დარჩა ობლად მცირე-წლოვანი ვაჟიშვილი, 2 წლისა და ორის თვისა, მიჰმართავს ქველ-მოქმედთა და სთხოვს, აიყვანოს ვინმე ეს ბავშვი აღსაზრდელად თავის სულის გულისათვის და, თუ ინებებს, იშვილოს კიდეც.

მისი ადრესი: მე-8 უბანი, არსენალის ქუჩა, № 21, სახლი ცაპენისა. იკითხეთ ალექსი მინასოვი.

(3—2)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова . . .	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра . . .	3	
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина .	1	»

მიღებულია სულ ახლა-ხან დამზადებული ფირფიტები ევროპიელთა და [illegible] შესანიშნავ მომღერალთა სიმღერებისა.



გაფრთხილება!

კომპანია გრამოფონი

ტფილისი, გოლოვინის პრ., სახლი აზიანცისა, № 7.

ამით ვაუწყებთ პატივისცემით ჩვენს პატივცემულს მუშტარს, რომ გასასყიდად გამოიტანეს ბაზარში ჩვენის საგრამოფონო ფირფიტების და აპარატების კოპიოები; ამასთანავე, სამწუხაროდ, ატყუებენ მუშტარს სხვა და სხვა მოსატყუებელით—ფასის დაკლებით, სხვა-და-სხვა დაპირებით და სხვ. და შედეგად ყველა ამისა ის არის, რომ არც ნაყიდი აპარატი და არც ფირფიტა აღარ გამოადგებათ ხოლმე გულ-გატეხილ მყიდველთ.

ვისაც სურს შეიძინოს გრამოფონები და მისი ფირფიტები, ვურჩევთ, იყიდონ ჩვენს მაღაზიაში, საცა მყიდველი თვითვე დარწმუნდება, რა განსხვავებაა ჩვენსა და სხვათა აპარატებში. პირველი კი ის არის, რომ ჩვენის აპარატის მყიდველი ყოველთვის კმაყოფილი იქნება.

კატალოგი უფასოდ გაეგზავნება მსურველს პირველ მოთხოვნილებისამებრ. (7—1)

დიდ-ძალი გრამოფონები და ფირფიტები გვაქვს ამოსარჩევად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 октября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.